



აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის საშუალო განათლების სასტიპენდიო პროგრამა, 2019-2020 წწ.

ევროპულ სწავლებაზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრის (IB)
დიპლომი ახალ სკოლაში, თბილისი, საქართველო

სტუდენტებისგან განაცხადები მიიღება

სომხეთიდან · ამერბაიჯანიდან · ბელარუსიდან · საქართველოდან
მოლდოვის რესპუბლიკიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა:

2019 წლის 1 მარტი, 12:00 სთ. საქართველოს დროით
(შუადღე, UTC +4.00)



Supported by
the European Union

 **New School**
International School of Georgia



 **UNOPS**
implementing partner

რა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის სასტიპენდიო პროგრამის მიზანი?

მაღალი ხარისხის, საერთაშორისოდ აღიარებული დიპლომის შეთავაზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ეს სასტიპენდიო პროგრამა განსაკუთრებულ საგანმანათლებლო შესაძლებლობას სთავაზობს ახალგაზრდებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ამ ქვეყნებიდან სტუდენტებს შორის რეგიონთაშორისი გაცვლის ხელშეწყობას.

რას წარმოადგენს საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომის პროგრამა ევროპათმოცნეობაზე ფოკუსირებით?

პროგრამა საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომის კომპლექსურ და ინტენსიურ ორწლიან აკადემიურ კურსს სთავაზობს ევროპისა და ევროპის საკითხების სპეციალიზებულ კვლევაში ჩართვის უნიკალურ შესაძლებლობასთან ერთად. ევროპული სკოლების გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის კურსები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროპულ საბაკალავრო სწავლებებთან და ჰარმონიულადაა შეხამებული მკაფიო ევროპულ პერსპექტივასთან. სწავლების, ესეებისა და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეებს დამატებითი საშუალება აქვთ იმსჯელონ ევროპულ თემებსა და საკითხებზე.

რა არის საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამის კონცეფცია?

საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამა წარმოადგენს საერთაშორისო მოსამზადებელ პროგრამას, რომელიც მოტივირებულია განათლების საშუალებით უკეთესი მსოფლიოს შესაქმნელად. საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამა სთავაზობს განათლებას იმაზე ფოკუსირებით, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ ეთიკური ქცევა და ლოგიკური, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნება. საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამა თავის სტუდენტებს მთელ მსოფლიოში ასევე სთავაზობს საერთაშორისო და მულტიკულტურულ სასწავლო გარემოს და ამზადებს სტუდენტებს ჩვენი გლობალიზებული მსოფლიოს გამოწვევებთან გამკლავებაში. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ბაკალავრის საგანმანათლებლო ფილოსოფია შესაბამისობაშია ევროპის საბაკალავრო პროგრამის პრინციპებსა და მიზნებთან.



მიენიჭებათ თუ არა საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამის დიპლომის მქონე სტუდენტებს უპირატესობა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში?

საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომი აღიარებულია 2000 უნივერსიტეტის მიერ 75 ქვეყანაში. ეს ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებსაიტზე საძიებელში (www.ibo.org). საერთაშორისო ბაკალავრის პროგრამა აწარმოებს უნივერსიტეტების ჩამონათვალს, რომელიც სთავაზობს სტიპენდიებს საერთაშორისო ბაკალავრის სადიპლომო პროგრამის კურსდამთავრებულებს თითოეული სასწავლო დაწესებულების მიერ მითითებული პირობებით. სასტიპენდიო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ასევე შეუძლიათ თავიანთი დიპლომის წარდგენა სახელმწიფო ორგანოებისთვის თავიანთ ქვეყნებში, ოფიციალური ექვივალენტის მისაღებად.



ვინ ახორციელებს საერთაშორისო ბაკალავრის სადიპლომო პროგრამას?

საერთაშორისო ბაკალავრის სადიპლომო პროგრამას ახორციელებს "ახალი სკოლა" თბილისში, (საქართველო), ავტორიზებული საერთაშორისო საბაკალავრო სკოლა 2010 წლიდან. "ახალ სკოლას" შეტანილი აქვს წვლილი მრავალენოვან და მულტიკულტურულ სწავლებაში საქართველოში და მრავალი ადგილობრივი და უცხოელი კურსდამთავრებულის წარმატებულ სწავლებასა და კარიერაში. ბოლო პერიოდში, „ახალმა სკოლამ“ ასევე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თავისი პირველი საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომის გაცემაში ევროპათმცოდნეობის მიმართულებით და ამჟამად კიდევ უფრო მეტადაა მომზადებული რეგიონიდან სტუდენტების ახალი ნაკადისთვის თავისი სასწავლო გამოცდილების გაზიარების გასაგრძელებლად.



რომელი კლასგარეშე აქტივობებია გათვალისწინებული „ახალ სკოლაში“?

კლასგარეშე აქტივობები დამატებით განსაზღვრავს სტუდენტების გამოცდილების ევროპულ მხარეს „ახალ სკოლაში“ და საშუალებას აძლევს მათ დაესწრონ ევროკავშირის აკადემიკოსებისა და მაღალი რანგის ოფიციალური პირების მიერ გამართულ კონფერენციებსა და ღონისძიებებს ევროპულ საკითხებზე. გარდა ამისა, ორგანიზებული იქნება სასწავლო ვიზიტები ევროპულ დაწესებულებებში, რომლებიც აძლიერებს სტუდენტების ცოდნას ევროპისა და მისი ხალხის შესახებ. ამ ორწლიანი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტები ასევე მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის, ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ჭადრაკში, მოდელირებულ გაეროში, დრამისა და კულინარიულ კლუბში. ყოველ სემესტრში, სტუდენტები შეძლებენ მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ეს ნამდვილად ამდიდრებს სტიპენდიანტი სტუდენტების გამოცდილებას.



უზრუნველყოფს თუ არა სასტიპენდიო პროგრამა თანაბარ შესაძლებლობებს კანდიდატებისთვის?

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია სამართლიანი გენდერული ბალანსისა და დაბალანსებული გეოგრაფიული განაწილების უზრუნველყოფა მიღებული განაცხადების საფუძველზე. ეს წარმატებით განხორციელდა პირველ ჯგუფთან, რომელიც შედგებოდა სტუდენტებისგან აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან. განაცხადის შემოსატანად ასევე ვინვევთ სტუდენტებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის ან ლტოლვილის სტატუსი და არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეები.



სად იცხოვრებენ სტუდენტები სასკოლო წლ(ებ)ის განმავლობაში?

სტუდენტები იცხოვრებენ „ახალი სკოლის“ ტერიტორიაზე განთავსებულ საერთო საცხოვრებელში. ახალი საერთო საცხოვრებელი კომფორტს უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სკოლის პერსონალისთვის. საერთო საცხოვრებელის საერთო სარგებლობის ადგილები სწავლისა და სოციალური შეკრებებისთვის სტუდენტებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესანიშნავ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. სტუდენტებზე მუდმივ ზედამხედველობას განახორციელებენ საერთო საცხოვრებლის უფროსი და მენტორთა გუნდი, და უზრუნველყოფენ მათ კომფორტს, უსაფრთხოებასა და ზოგად კეთილდღეობას.



როგორი საცხოვრებელი პირობებია საერთო საცხოვრებელში?

საერთო საცხოვრებელში ორი სტუდენტი ცხოვრობს საჭირო ტექნიკით აღჭურვილ ოთახში ოპტიმალური სასწავლო ატმოსფეროს უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, „ახალ სკოლაში“ საკვები მზადდება უმაღლესი ხარისხის სტანდარტებით, ის ყოველთვის ახალი და ჯანსაღია და სხვადასხვა ვარიანტებს უზრუნველყოფს კვებითი შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის.



წელიწადში რამდენჯერ შეძლებენ სტუდენტები სახლში გამგზავრებას?

სტუდენტებს წელიწადში ოთხჯერ შეუძლიათ თავიანთ ქვეყანაში გამგზავრება (ზამთრის, შემოდგომის, ზაფხულისა და გაზაფხულის არდადეგებზე). მგზავრობის ხარჯები გათვალისწინებულია სტიპენდიით.



იქნებიან თუ არა სტუდენტები უზრუნველყოფილი სასწავლო მასალებით?

სასწავლო მასალები, საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომისთვის საჭირო კონკრეტულ მოწყობილობასთან (მაგ. TI კალკულატორები) ერთად გათვალისწინებულია სტიპენდიით. გარდა ამისა, სტიპენდიანტი სტუდენტები ინდივიდუალურად იქნებიან უზრუნველყოფილი პერსონალური ლეპტოპით კლასში გამოსაყენებლად და საშინაო დავალებების შესასრულებლად, ასევე მობილური ტელეფონით საერთო საცხოვრებლის აპლიკაციასთან წვდომისთვის.



რას მოიცავს სამედიცინო დაზღვევა?

სტუდენტებს ექნებათ სამედიცინო დაზღვევა, რომელიც სრულად ფარავს ძირითადი სამედიცინო ხარჯების უმეტესობას, სტომატოლოგიური ჩარევების ჩათვლით. სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი ყოველწლიურად განახლდება.



რა ხარჯები უნდა იქნას დაფარული სტუდენტების მიერ?

ძირითადი საცხოვრებელი ხარჯების უმეტესობა გათვალისწინებულია სტიპენდიით, ამიტომ სტუდენტებს შეიძლება დასჭირდეთ მხოლოდ თავიანთი ტანსაცმლისა და დამატებითი აქტივობების ღირებულების გადახდა, რომელიც არაა სტიპენდიით გათვალისწინებული.



როგორი დრეს კოდი მოქმედებს სკოლაში?

სკოლაში არაა ფორმალური უნიფორმები, მაგრამ სტუდენტებმა უნდა ატარონ თეთრი პერანგები და მუქი შარვლები ან კაბა.



რომელი პირადი დოკუმენტებია საჭიროა სტუდენტებისთვის?

განაცხადების წარდგენის პროცესში სტუდენტებმა უნდა წარადგინონ მშობლის თანხმობის ფორმა, დაბადების მოწმობა და წინა სასწავლო წლ(ებ)ის ნიშნები ინგლისურ ენაზე ან ინგლისურად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული სახით, თუ დოკუმენტების ორიგინალი არაა ინგლისურ ენაზე. სტუდენტებმა, რომლებსაც სტიპენდია ენიჭებათ, უნდა იქონიონ პასპორტები, დაბადების მოწმობები და ნიშნების ფურცელი.



არის თუ არა სტუდენტებისთვის თბილისში მგზავრობა უფასო?

სამოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ავტობუსებისა და მეტროს ჩათვლით თბილისის ფარგლებში უფასოა სტიპენდიანტი სტუდენტებისთვის.



გთხოვთ ეწვიოთ ვებსაიტს www.eapeuropeanschool.eu განაცხადების მიღების გამოცხადების დაწყების შესახებ მთელი ინფორმაციის მოსაძიებლად და ონლაინ განაცხადების მიღების პროცესის დასასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ: euscholarship@newschoolgeorgia.com ან დარეკოთ:

+ 995 32 225 70 06 (ოფისი)
+ 995 599 25 17 17 (მობილური)



Supported by the European Union

APPLY NOW!